





ჯულიან ბარნსი

მსოფლიოს ისტორია

10 1/2 კარად

დიდგენის  
ბიბლიოთეკა

ჯულიან ბარნსი  
მსოფლიოს ისტორია 10 ½ კარად

Julian Barnes  
A HISTORY OF THE WORLD IN 10½ CHAPTERS

ინგლისურიდან თარგმნა გია ჭუმბურიძემ

გარეკანზე: კენტერბერის ტაძრის ვიტრაჟი (ნოე მტრედს ეგებება)

© by Julian Barnes 1989  
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2016  
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-509-7

[www.diogene.ge](http://www.dioгене.ge)

პეტე კავანახ



## სარჩევი

1 უბილეთოდ დამგზავრებული.....	9
2 მომხდურები.....	43
3 რწმენის საკითხი.....	77
4 გადარჩენილი .....	99
5 ხომალდის დაღუპვა .....	133
6 მთა.....	163
7 სამი უმარტივესი ამბავი .....	195
8 ჯუნგლები, კინო, მდინარე.....	221
ჩანართი .....	251
9 პროექტი „არარატი“ .....	275
10 სიზმარი.....	305





1

**უბილითოდ დამგზავრეული**



ბეჭემოთები მარტორქებთან, ჰიპოპოტამებთან და სპილოებთან ერთად გაამწესეს ქვედა ნაკვეთურებში. თავისთავად, არცთუ ცუდი აზრი იყო – ბალასტად გამოეყენებინათ ეს მძიმეწონოსნები, ოღონდ რა სიმყრალეც იდგებოდა იქ, ამის წარმოდგენა უკვე თქვენთვის მომინდვია. და არც ამ თავლების გამომწმენდი იყო ვინმე – კაცები მარტო მათ ჭმევას უნდებოდნენ, სუნამოდაპყრებული ქალები კიდე (ეჭვი არაა, სინამდვილეში რომ ისევე ყარდნენ, როგორც თავად ჩვენ), ამისთანა ბინძური საქმის კეთებაზე ცხვირს იბზუებდნენ. ასე და ამგვარად, როცა ვითარება მთლად გაუსაძლისი ხდებოდა, ისევ ჩვენ და ჩვენნაირებს გვინევდა ამაზე ზრუნვა. მოკლედ, ყოველ ორ-სამ თვეში ერთხელ, ონინარით წევდნენ მძიმე სარქველს და იქ ჩიტ-მწმენდავებს მიუშვებდნენ ხოლმე. ოღონდ ყროლის პირველ ტალღას ყველა ერიდებოდა და საკუთარი ნებით არცთუ ბევრი თანხმდებოდა, თუნდაც ამწევი თოკები დაექაჩა. მერე კი 4-5 წყვილი ყველაზე ნაკლებ გულაზიზი ფრთოსანი ჯერ ირაოს შეკრავდა ხოლმე პირღია ქვესკნელის თავზე და მერეღა თუ დაყვინავდნენ შიგ. რა ერქვათ, ახლა აღარც მახსენდება და მათგან ორი თუ სამი სახეობა უკვე რა ხანია, გადაშენდა კიდეც, მაგრამ ხომ ხვდებით, ვისაც ვგულისხმობ – განა არ გინახავთ ხახადაფრე-

ნილი ჰიპოთეზი, ჭრელა-ჭრულა პანია ჩიტები რომ ჭკუასგადასული კბილის ექიმებივით უძვრებიან შიგ? ახლა ეს სურათი გაადიდეთ და ჭანჭრობივით ოხრად ფუნა დაუმატეთ ზედ – აი, ეგ იყო. დიდად მგრძნობიარე არც თავად გახლავართ, მაგრამ მეც კი მაჟრჟოლებდა, სიბნელისაგან ნახევრად თვალდავსებულ თუ დაბადებით ახლომხედველ ურჩხულებს, ღვართა ამ შესაკრებელში ამგვარად რომ შეალამაზებდნენ ხოლმე.

კიდობანზე უმკაცრესი ნესრიგი იყო შემოღებული: იქაურობა ხმელთაშუა ზღვაზე გასასეირნებელ გემს ნამდვილად არ გავდა – უსაქმურობისაგან თავგაბეზრებული ხალხი, ბანქოს თამაშსა თუ ცეკვა-არშიყობას რომ ეტანება, ყოველი სადილობის წინ კიდე, ქალიან-კაციანად, ტანსაცმელს რომ იცვლიან უცილობლად. არა, ჩემო კარგებო – ჩვენთან ფრაკები მხოლოდ პინგვინებს ემოსათ და ჩვენი ეს მოგზაურობაც მეტად სახიფათო გახლდათ: მიუხედავად იმისა, რომ წესების ნაწილი იმთავითვე დაგვიდგინეს. ბოლო-ბოლო, აქ სრულიად მხეცთა სამეფოს უკლებლივ ყველა წარმომადგენელი უნდა მოთავსებულიყო და როგორ გინდოდათ, შავი ავაზა შვლისაგან ერთი ნახტომის მანძილზე დაგებინავენინათ?! ასე და ამგვარად, უშიშროების გარკვეული ზომების მიღება უბრალოდ აუცილებელი გახლდათ და ჩვენც რალა გვექნა – შევეგუეთ ორმაგ საკეტებს, ყოველდღიურ შემონმებებს, კომენდანტის საათის შემოღებას. სამწუხაროდ, ვერც გარკვეული სახის სასჯელის დადებასა თუ ცალკე საკნებში გამომწყვდევის საყოველთაო პრაქტიკას გადავურჩით. მერე იყო და მთლად ზემო ეშელონებში ვილაცა ცნობების შეგროვების იშტაზე მოვიდა – შედეგად, დაბეზლება-ენატანიობა სრულიად ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. მოკლედ, ეს ჩვენი კიდობანი, უნდა გითხრათ, რალაც ბუნებრივ ნაკრძალს სულაც არ გავდა და ერთგვარ მცურავ ციხეს უფრო მოგაგონებდათ.

მესმის, რალა თქმა უნდა, რომ ჩემი თვალით დანახული ეწინააღმდეგება საყოველთაოდ გავრცელებულ საზრისს; ის კი არა, თქვენს სახეობაში გავრცელებულ მითებს ლამის კრიჭაში უდგას ცხოველთა შორის მოარული ანდრეზები, მაგრამ მათი შეპირის-

პირება ვის რაში სჭირდება? ისინიც განა ერთგვარ გმირებად არ ირაცხებიან და არ ყოყლოჩინობენ – ბევრ ჩვენგანს სულაც კიდობნამდე შეუძლია საკუთარი წარმომავლობის მოხილვაო? ბოლოს და ბოლოს, აკი რჩეული იყვნენ, ათასგვარი ავებდობა გადაიტანეს და გადარჩნენ კიდეც! მათთვის ბუნებრივიც კია, ერთგვარი გულმავინყობა გამოავლინონ, ანდა უხერხული ამბების მიჩუმათებაც კი იკისრონ, ოღონდ ამ მხრივ მე არაფერი ძალა არ მადგას – მოგესხენებათ, რჩეული არასოდეს ვყოფილვარ. ის კი არა, კიდევ რამდენიმე ჩემნაირის მსგავსად, უბრალოდ, ერთი უბილეთო მგზავრთაგანი გახლდით და ეგაა სულ! გადავრჩი კიდეც, კიდობანსაც თავი დავალნიე (იქიდან გამოლწევა არცთუ იმაზე ადვილი გახლდათ, ვიდრე შიგ შეღწევა) და ბედსაც ვენიე ცხოვრებაში. მართალია, სხვა მხეცთა საძმოში მცირეოდენ განდგომილად კი ვგრძნობ თავს, რაკილა იქ ჯერაც მძლავრობს შორეული წარსულით ტკობის სენი: როგორც ვიცი, „ზღვის მგლებს“ საზოგადოებაც დაუარსებიათ მათთვის, ვისაც ზღვის ავადმყოფობა არასოდეს შეჰყრია. ახლა არც ვინმეს მიმართ დავალებულად ვგრძნობ თავს და შესაბამისად, არც მადლიერების გრძნობა მიბინდავს მზერას. მოკლედ, ჩემს მონაყოლს ნამდვილად შეიძლება ენდოს კაცია.

სავარაუდოდ, თქვენ უკვე მიხვდით კიდეც, ეს ჩვენი „კიდობანი“ მხოლოდ ერთი ხომალდი რომ ვერაფრით იქნებოდა. ცხადია, ასე მთელ ჩვენს ფლოტილიას ვეძახდით შემოკლებით (განა მართლა არსებობს ვინმე ისეთი გულუბრყვილო, დაიჯეროს, რომ მხეცთა მთელი მოდგმა სულ რაღაც სამასიოდე წყრთის სიგრძის ხის ყუთში შეიძლება ჩაბეკნო?!); და ასევე – ორმოცი დღე და ღამე ცა ფეხად ჩამოდიოდაო. კარგი ერთი! ამდენი ინგლისშიც კი მოდის ხოლმე, თანაც ზაფხულობით! ჩემი ვარაუდით, მთელი ეს ამბავი წელიწადნახევარი მაინც გრძელდებოდა. რაც შეეხება იმას – წყალი ას ერგასი დღე არ დაწრეტილაო – ეგეც ან მტკნარი სიცრუეა, ან – თავის მოტყუება: ოთხ წელზე ნაკლები არაფრით დასჭირდებოდა, რაზეა ლაპარაკი... საზოგადოდ, თქვენი სახეობის წარმომადგენლები მუდამ მოიკოჭლებდნენ თარიღების დასმა-გა-

მოთვლის ამბავში. ჩემი ღრმა რწმენით, ეს ზოგადად, შეიძვერადაი  
რიცხვების თქვენსავე უცნაურ აკვირებას უნდა დავაბრალოთ.

დასაბამიდან კიდობანი რვა ხომალდისაგან შედგებოდა: პირ-  
ველი თავად ნოეს ხომალდი გახლდათ, მასზე ჩაბმულ სააღალო  
კარჭაპს რომ მიითრევედა; მას კიდევ ოთხი მოჰყვებოდა, რომელ-  
თაც მისივე შვილები ამირბარობდნენ, ხოლო სულ ბოლოს საკა-  
რანტინო ორჩხომელი გვედგა კვალში, რადგან ოჯახი წყევლასა-  
ვით უფრთხოდა ყოველგვარ გადამდებ ავადობას. იყო კიდევ ერთი  
– მერვე, არცთუ დიდი ხანი რომ სდევდა კუდში ქამის კიდობანს  
და რომლის დანიშნულებაც, პირადად ჩემთვის, ამოუცნობი დარჩა:  
მომცრო იყო, ნახჭებითა და ჩუქურთმებით განწყობილი და რო-  
გორც კი ქარიშხალი ჩადგა, მას მერე სულ ნაზი სურნელი მოგ-  
ვდიოდა იქიდან, ხალისიანი დაკვრა-მღერა მოისმოდა და ხმამა-  
ღალი სიცილ-კისკისი. უცნაური იყო, რალა თქმა უნდა, რაკილა  
დარწმუნებულნი ვიყავით – ნოეს რძლები სითბოსა და მყუდროე-  
ბაში სხედან მათთვის განკუთვნილ ხომალდებზეო. ოღონდაც ეს –  
როგორც ეტყობა, ხალისით სავსე და გარეგანადაც მორთულ-მო-  
კაზმული, უცაბედად მოვარდნილმა ტალღამ იმსხვერპლა და მომ-  
დევნო რამდენიმე კვირის განმავლობაში, ქამი რალაც შეჩქვიფებუ-  
ლი დაიარებოდა.

შემდეგი სწორედ ის სააღალო კარჭაპი გაქრა – ერთ უმთვა-  
რო ღამეს, როცა ქარიც ჩამდგარიყო და გუშაგნიც მიუტყევებლად  
თვლემდნენ; დილით კი ნოეს სამეთაურო კიდობნის კიჩოზე მხო-  
ლოდ რომელიღაც ცხოველის მიერ გადაღრღნილი სქელი ბაგირის  
ნაგლეჯილა კონწიალობდა. ერთი ამბავი ატყდა, რალა თქმა უნდა  
და ურთიერთბრალდებებსაც ბოლო არ უჩანდა – ან რაა გასაკვი-  
რი, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ერთბაშად რამდენიმე სახეო-  
ბის გაქრობის პირველი შემთხვევა გახლდათ! მერე იყო და ჩვენს  
მცურავ საავადმყოფოსაც თითქოს წყალმა პირი უყოო და ხმები  
დაირხა, ეს ორი ამბავი ერთმანეთს ებმისო: აკი ქამის ცოლი აპილ-  
პილებულა – როგორ თუ ჩემი ხელით დაქარგულ-დამაქმანებული  
საბან-გობანი აღალის კარჭაპმა გაიყოლაო და ვაითუ ამგვარად გა-

დაენწყვიტა ზოგ ცხოველზე მაინც ეყარა ჯავრიო. ოლონდ დანამ-  
დვილებით კი ვერავინ ვერაფერი გაიგო.

თუმცა, ყველაზე დიდი დანაკლისი მაინც ვარადის დაკარგვა  
აღმოჩნდა. სემსა და ქამს ხომ იცნობთ და მათი მესამე ძმის, ია-  
ფეტის თაობაზეც გსმენიათ ალბათ, ოლონდ დაგენაძლევეებით, ვა-  
რადის შესახებ ყური არავის არაფრისთვის მოგიკრავთ, ეგრეთა?  
ეგ უმრწემესი იყო ნოეს ვაჟიშვილებში და ულონიერესიც, ოლონდ  
უსაყვარლესიო – ნამდვილად ვერ ვიტყვი; მისდა საუბედუროდ,  
იუმორის გრძნობა გააჩნდა – ყოველ შემთხვევაში, ბევრს იცინოდა,  
თქვენს მოდგმაში კი ეს ორი რამ ხშირად ერთმანეთში ეშლებათ  
ხოლმე. მოკლედ, დიდი ჭკუამხიარული ვინმე გახლდათ და ხშირად  
მინახავს, მთლად გემბანსგარეთ გაჭიმულ ბაგირებზე რომ მუშაი-  
თობდა, ორთავე მხარზე შემოსმული თითო თუთიყუშით; ოთხფეხა  
რქოსნებს ქედზე უტყაპუნებდა ხელს და ისინიც, ნაამებნი, ზმუი-  
ლით ეპასუხებოდნენ და საერთოდ, ხმა დადიოდა, მის კიდობანში  
შეუდარებლად უფრო ლიბერალური წესებია შემოღებულიო. ჰოდა,  
ეგეც თქვენ: ერთ დილასაც გავიღვიძეთ და მისი ხომალდი უკვე  
ცისკიდურს ეფარებოდა, ცხოველთა სამყაროს მასთან დამგზავ-  
რებული მთელი ერთი მეხუთედითურთ! ყველა სხვას რომ თავი  
გავანებოთ, მარტო ვერცხლისფერთავიანი და ფარშევანგისკუდი-  
ანი ჩიტი-სიმურგის დაკარგვა როგორი ამბავია? და ცნობადის ხეზე  
ბუდისმკეთებელ ჩიტზე რაღას იტყვით? ეგენი ორივენი ისევე ვერ  
გადაირჩენდნენ თავს აქაფებულ ტალღებში, როგორც რომ უბრა-  
ლო პრანწია! უფროსი ძმები აქეთ ამუნათებდნენ უმცროსს – გეზი  
ვერ დაიჭირა სწორადო, ცხოველების მიმართ გაუკუღმართებულ  
ურთიერთობასაც კი აბრალებდნენ და იმაზეც მიაწინებდნენ, ჯერ  
კიდევ სულ ოთხმოცდახუთი წლის ბაჭაჭყანამ, მოახერხა და ღმერ-  
თი რაღაცით გაანაწყენაო. არადა, მართლა მძიმე დანაკლისი მო-  
გივიდათ, წყალი არ გაუჟა – მაგის გენები მთელს თქვენს მოდგმას  
წაადგებოდა მომავალში.

ისე, ყველა ჩვენთავანისათვის მთელი ეს ამბავი მაშინ დაინ-  
ყო, როცა დანიშნულ დროსა და ადგილზე გვიბრძანეს შეკრება.

სწორედ მაშინ გავიგეთ უზუნაესი გეგმის შესახებ, ოღონდ მისი პოლიტიკური სარჩულის თაობაზე, ცხადია, ჩვენთან სიტყვა არავის დაუძრავს. მოკლედ, ის, რომ ღმერთი თავის ქმნილებებს შემოსწყრა, ჩვენთვის სრული მოულოდნელობა გახლდათ და უბრალოდ, ხელს გაგვაცოლეს, შეიძლება ითქვას. აბა ჩვენ რა ბრალი გვედო მთელ ამ საქმეში?! (ახლა არ მითხრათ, გველიო და ა. შ. – ეს სულ ადამის შავი პიარი გახლდათ) თუმცა, სავალალო შედეგმა კი ჩვენც გვინია: ყველა სახეობა ერთიანად ამოწყდა და მხოლოდ თითო წყვილს ერგო ბედნიერება, იმ ბებერი გაიძვერას ზედამხედველობით, ზღვებსა და ოკეანეებზე ეცურა – არადა კაცი, მოგეხსენებათ, მთლად გალოთებულიყო და ასაკითაც მეშვიდე ასეულს ახურდავებდა უკვე.

მოკლედ, სიტყვა დაგვიგდეს და მიაქციეთ ყურადღება – როგორც ყოველთვის, სიმართლე ახლაც დაგვიმალეს! და რა გგონიათ, მთელი დედამიწის ფაუნა ზედ ნოეს სრა-სასახლის სანახებში ბინადრობდა?! (ისე, სამოსახლოს კი არ უჩიოდა, ნამდვილად – ხელმოკლე იყო, მაგაზე ენა არ მოგიბრუნდებოდა) არა, ბატონო ჩემო, მთელი სამყაროს დაფეთება რომ აეცილებინათ თავიდან, ჯერ კონკურსის გამოცხადება მოუწიათ და მერე – ამ ვითომდა კონკურსის მონყობა: გარეგნობაო, უნარ-ჩვევებო, ნაზი გრძნობების გამოხატვის უნარო, წყვილთა შორის ურთიერთშეთავსებულობაო... მსურველები დანიშნულ თვეს უნდა გამოცხადებულიყვნენ ნოეს კიდობნის აღსავლის კართან. ახლა ხომ გესმით, რა ცოდვის დღეც ტრიალებდა მთელ დედამიწაზე? ჯერ ეს ერთი, ყველა სახეობა სულაც არ გახლდათ სხვადასხვა ტესტ-შეჯიბრებათა მოყვარული და დიდი ეჭვი მაქვს, ძირითადად მაინც უფრო გამწევა-გამომწევი ვინმეები მოლაგდნენ; ზოგმა, ვისაც ზღვაოსნობა დაბადებით არ ეპიტნავენოდა და არც სტრიქონებსშუა ნაგულისხმევის ამოცნობაში გახლდათ განაფული, სულაც უარი თქვა საზღვაო კრუიზში მონაწილეობაზე – გინდაც ყველაფერი წინასწარ ყოფილიყო გადახდილი; ნოესა და მთელ მის საორგანიზაციო კომიტეტს არც ის მარტივი ამბავი გაუთვალისწინებია, ზოგი ცხოველი რომ ამ დროს



შუა გამოზამთრებაში იქნებოდა, ძილქუშს მიცემული; ახლა კიდე – მოგეხსენებათ, ზოგი ოთხფეხი უფრო სწრაფად გადაადგილდება და ზოგიც – სულ ნელა, მცონარასავით (არსებობდა ერთი ასეთი ჯიში, ძაან-ძაან ფუმფულა და საყვარელი ვილაცები იყვნენ, გეფიცებით – მარტო ხიდან ჩამოსვლა მოასწრეს და ღვთის რისხვის პირველმა ტალღამაც გადაუარა ზედ) და ამას ეძახით თქვენ ბუნებრივ გადარჩევას?! მე თუ მკითხავთ, პროფესიული უვარგისობის სუნი უდის ამ ყველაფერს.

მოსამზადებელი სამუშაოები ხომ საერთოდ, სულ აჩა-ბაჩა მიდიოდა: კიდობნების აგების ვადა დაგეგმილს უიმედოდ ჩამორჩებოდა (მუშებმა რომ შეიტყვეს, ჩვენთვის აქ საერთოდ არაა ადგილები გათვალისწინებულიო, ცხადია – არცერთს ამით სახმილი არ შემატებია); შედეგად, აღარც ცხოველთა გადარჩევას ეთმობოდა სათანადო ყურადღება – პირველსავე მეტ-ნაკლებად ვარგის წყვილს თავს უქნევდნენ და მათი გამოცდაც მთლად ზედაპირული გახლდათ – ჰა და ჰა, იმას თუ დაეკითხებოდნენ, გვარში ვინმე შერეკილი ხომ არ გყოლიათო. მერე ხომ იმასაც ეუბნებოდნენ, ყოველი სახეობიდან თითო წყვილი აგვყავსო – თქმით კი ეუბნებოდნენ, მაგრამ როგორც კი საქმე-საქმეზე მიდგა, აღმოჩნდა რომ ზოგიერთი არსება, უბრალოდ, არასასურველის სტატუსით სარგებლობდა და ჩვენც სწორედ ასე არ დაგვემართა? საბოლოოდ, იძულებულნი გავხდით უჩუმრად აგვეღწია გემბანზე. ასევე, ბევრ ცხოველს სულ ტყუილად მოსდეს შარი და მათი განაცხადიც მხოლოდ იმ მიზეზით გადადეს გვერდზე, არავითარი ცალკე სახეობა თქვენ არა ხართ – მერე რა, ორი-სამი ზედმეტი რგოლი თუ გახატიათ კუდზე ან სხვა ფერის ბენვი თუ წამოგზრდიათ ზურგზე – გმადლობთ, ორი თქვენი მსგავსი უკვე გვყავსო.

არც ეულად მოსულ, თუნდაც უმშვენიერეს ცხოველებს სწყალობდნენ – წესი წესიაო; იყვნენ მშობლები, რომლებმაც უარი თქვეს ჯერაც უწლოვან ნაშიერთა მიტოვებაზე და საბოლოოდ, მათთან ერთად სიკვდილი ეწერათ; ზოგმა – ზედმეტი კდემამოსილების გამო – ყოვლად უცერემონიო სამედიცინო შემონმებები

იტკიცა. ასე რომ, ნოეს სასახლის მაღალი ღობის მიღმა, ერთთავად განდევილ-დანუნებულთა მოთქმა-გოდება გაისმოდა ხოლმე წკვარამ ლამეში.

და ახლა წარმოიდგინეთ ერთი, რა ამბავი ატყდებოდა როცა ამ, თქვენის ნებართვით, *პროექტის* ნამდვილი მიზანი გაცხადდა?! რალა თქმა უნდა, ეჭვიანობაც იყო, უგვანი გამოხდომებიც... თუმცა, ზოგი – მართლაცდა კეთილშობილი ცხოველი უბრალოდ, ტყეს მიუბრუნდა – უარი თქვეს ღვთისა და ნოეს მიერ შემოთავაზებული წესებით თამაშზე და ნაძრახ სიცოცხლეს აქაფებული წყლის ტალღებში სიკვდილი ამჯობინეს. მრავალი ხისტი და შურიანი სიტყვა ითქვა თევზების თაობაზე; ამფიბიებს საკუთარ თავზე წარმოდგენა გაუათმაგდათ, ჩიტები ცაში უფრო დიდხანს დაკიდებაში ვარჯიშობდნენ... მაიმუნების ზოგიერთი სახეობა შემჩნეულ იქნა უხეშად გამოჩორკნილი ტივების შეკვრის მცდელობაში, ხოლო ერთხელაც, „რჩეულთა ბანაკში“ საკვებით მეტად უცნაური მონამვლის ეპიდემია დაიწყო, რის შედეგადაც ზოგი, ნაკლებამძლე სახეობათა წყვილების ხელახლად შერჩევა გახდა საჭირო.

ნოე და მისი შვილები ზოგჯერ მთლად ჭკუას გადადიოდნენ ხოლმე. რაო, ეს თქვენს წარმოდგენას მაინცდამაინც არ ემთხვევა? აკი მუდამ ჩაგჩიჩინებდნენ – ნოე სიბრძნის, ღვთისმოშიშობისა და მართალი სამართლის ქმნის განსახიერება იყოო, მე კიდევ ფსიქიკურად არამდგრად გაიძვერად და ლოთად წარმოგიდგინეთ? რას იზამ, ბოლო-ბოლო, ეს ორი თვალსაზრისი არც ისე შეუთავსებელია! მოდი, ასე ვთქვათ: თავად ნოე დიდი ვერაფერი ავ-კარგიანი ვინმე იყო, მაგრამ აბა ერთი, სხვებიც გენახათ! რალა გასაკვირი ამბავია, უფალს რომ საკუთარი გასვრილი ხელების განბანვა მოსურვებოდა – უცნაური ისაა, ამ სახეობის სულ მთლად მოსწყევდნა რომ არ მოუვიდა თავში – ბოლო-ბოლო, მისი ეს ქმნილებები ხომ დიდად ვერაფერი სასახელო გახლდათ თავად მათი შემოქმედისათვის.

ოლონდ ხანდახან ნოე სულაც წკიპზე იყო ხოლმე: როგორც უკვე გითხარით, კიდობნის მშენებლობა ძალზე ნელა მიიწევდა წინ,

მუშები ერთი გვარიანად გასამათრახებლები იყვნენ, ასობით (თუ არა ათასობით) დაფეთებული მხეცი და ცხოველი შემოჯაროდა მის სრა-სასახლეს და კაცმა არც ის იცოდა, ზუსტად როდის მოვიდოდა ეს დაპირებული წარღვნა – უფალმა ესეც კი არ აცნობა თავის რჩეულს. დღეყოველ ავცქეროდით ცარგვალს – მორეკავდა ავბედით ღრუბლებს დასავლეთის ქარი, თუ მამალმერთი თავის ამ სპეცდანიშნულების წვიმას სულ სხვა მხრიდან მიუშვებდა დედამინაზე? ისე, ამინდი დღითიდღე ფუჭდებოდა და ამბოხის ალბათობაც მატულობდა. ზოგს სურდა ერთი კიდობანი მაინც ეგდოთ ხელთ და თავი გადაერჩინათ, სხვები საერთოდ მათ დანვას მოითხოვდნენ. იყვნენ ისეთებიც – უფრო ჭვრეტითი გონის მქონენი – შერჩევაში ალტერნატიული გზების მოძებნას რომ უჭერდნენ მხარს და გაიძახოდნენ, მსურველები მათი ზომა-წონისა და სარგებლიანობის მიხედვით უნდა შეირჩნენ და არა რაოდენობისო, მაგრამ ნოემ შორს დაიჭირა – მაგას საკუთარი მოსაზრება გამოემუშავებინა და სხვისი არც არაფერში ესაჭიროებოდა.

ბოლოს, როცა მთელი ეს ფლოტილია უკვე მზად იყო წყალზე ასატივტივებლად და მხოლოდ დაპირებულ თქემ წვიმასლა მოელოდნენ ყველანი, საჭირო გახდა ხომალდების დაცვა, რადგან გემბანზე მალულად აბრძანების მსურველთა რიცხვი დღითიდღე იზრდებოდა. ერთ მუშას სულაც მაშინ წაასწრეს, როცა საალალო კარჭაპის კედლის საყრდენებში, საკუთარი თავისთვის პანია სენაკის გამოთლის საქმე ლამის უკვე მოემთავრებინა კიდეც. ბევრად უფრო სამწუხარო შემთხვევებიც მომხდარა: სემის ხომალდის ბაგირებში შველი გაიხლართა და გაიგუდა; ჩიტები დამცავ ბადეებს ეხლებოდნენ და ფრთებს იმტვრევდნენ და ა. შ. და ა. შ. მართალია, უნებართვოდ იქ მოხვედრილებს იჭერდნენ და იქვე უსწრაფავდნენ სიცოცხლეს, მაგრამ ამგვარი საჯარო სასჯელიც კი ვერ ჭრიდა – ცხოველებს არც აღარაფერი ჰქონდათ დასაკარგი. ისე მე, ჩემდათავად, სადღაც გულისგულში ვამაყობ კიდეც, ჩემმა მოდგმამ უსისხლოდ, უდანაკარგოდ და ყოველგვარი აღებ-მიცემობის ცოდვის გარეშე რომ მოახერხა კიდობანში მოკალათება – თუმცა, მეორე მხრივ, ჩვენ ხომ

არც ისეთი შესამჩნევები ვართ და მშობლებიც გამჭრიახნი აღმოგვაჩნდნენ: მაშინ როცა თავად ნოე და იმისი შვილები დაურიდებლად ჩითავდნენ ყველა გემბანზე ამსვლელს – ღერ ბალანს არ უტოვებდნენ მოუწინავეს და ჰიგიენის ყველა წესის უგულვებლყოფით უფათურებდნენ ხელებს გარკვეულ ადგილებში – ჩვენ უკვე კარგახნის მოკალათებულნი გახლდით ჩვენ-ჩვენს სამყუდროში – ეს საქმე ერთმა დაუდევარმა დურგალმა გაგვიჩარხა, თუმცა თავად აზრზეც არ გახლდათ, რაოდენ კეთილ საქმეს სჩადიოდა სამომავლოდ.

მერე ატყდა და რა ატყდა – ორი დღის განმავლობაში ქარი ოთხივ მხრით უბერავდა ერთდროულად, მერე წვიმამაც დაუშვა, სულ ბოლოს კი განიხვნენ ცანი და წყარონი უფსკრულისანი გამოეცნეს, რათა სიბილნისაგან განენმინდათ ქვეყანა ესე. მტრედის კვერცხისოდენა სეტყვა დაატყდა გემბანს. თუმცა, მოასწრეს და რჩეულნი თავ-თავიანთ ბაგებში დააბინავეს, რაც ცოტა არ იყოს, საერთო-სახალხო ქორწილს წააგავდა. მერე სარქველებიც დაგმანეს და ჩვენ ყველამ ნელი-ნელ ვინყეთ სიბნელესა და ჰაერნაკლულობასთან შეჩვევა. ისე, თავიდან ეს ყველაფერი მაინცდამაინც არ გვანუხებდა – აქაოდა გადავრჩით და მაგაზეც დიდი მადლობელიო. წვიმას ხოშკაკალი ცვლიდა, ხოშკაკალს – ისევ სეტყვა, რომელსაც სულ ბრაგა-ბრუგი გაუდიოდა გემბანზე, შორით კი მიტოვებულ ცხოველთა სანყალობელი მოთქმა-ყმუილი მოისმოდა. თანდათანობით, ეს ხმებიც მიწყნარდა და მივხვდით, წყალი უკვე მთლიანად ფარავდა ველ-მინდვრებს.

ბოლოს ის დღეც დადგა, რომელსაც ასე ველოდით ყველანი: ჯერ მოგვეჩვენა, მინაზე დარჩენილი მძიმეწონოსანი მხეცები ცდილობდნენ კიდობნის გადაბრუნებას, მაგრამ როგორც გაირკვა, ეს ჩვენი ხომალდი გადაიხარა და მერე სულაც მოსწყდა საბიჯგელებს, წყალზე ატივტივდა. იმ წუთს, ადამის ძეთა მიმართ სადიდებელ-სამადლობელო სიტყვები მართლა და ღვარად მოდიოდა ცხოველთა ბაგეთაგან, ოღონდაც მერე და მერე, თანდათანობით... იქნებადა ჩვენი ბრალიც ეგ იყო, ასე გულუბრყვილოდ რომ დავენდეთ ნოესა და მის ღმერთს?

საქმეც ისაა, ეჭვი მანამდე გაჩნდა, სანამ წარღვნა დაიწყებოდა: ვიცი, როგორ არ ვიცი, რაოდენი ამრეზით გაჰყურებთ ცხოველთა სამყაროს – დაუნდობელია, კანიბალური მიდრეკილებებით სავსე და ყოვლად არასანდოო (თუმცა, ეს იქნებ უფრო გვაახლოებდეს ერთმანეთს, ვიდრე – პირუკუ). ოლონდაც ჩვენ ყველანი, იმთავითვე თანასწორებად აღვიქვამდით ერთურთს; რა თქმა უნდა, ერთმანეთს ვჭამდით და უფრო სუსტებმა მშვენივრად იცოდნენ თუ რა ბედი ელოდათ, თუკი უფრო დიდსა და ღონიერს გადაუჭრიდნენ გზას – განსაკუთრებით მაშინ, როცა ის ღონიერი მშეიერი აღმოჩნდებოდა. ოლონდ ყველაფერი ეს ჩვენივე არსებობის ბუნებრივ მახასიათებლად მიგვაჩნდა: თავად ის ამბავი, რომ ერთ მხეცს შეეძლო მეორე მოეკლა, სულაც არ ამდაბლებდა პირველს – უბრალოდ, უფრო სახიფათოს ხდიდა, ეგ იყო და ეგ. იქნება და თქვენთვის საძნელოც იყოს ამის გაგება, მაგრამ ჩვენ შორის მუდამ სუფევდა ერთგვარი ურთიერთპატივისცემა. ვილაცის შეჭმა მის დამცირებას სულაც არ ნიშნავდა, ხოლო არც კერძად ქცეულსა და არც მის ნათესაობას აზრადაც არ მოუვიდოდა, მკვლელის მიმართ აღტაცებისდაგვარი რამ გრძნობა გასჩენოდა.

ნოემ – თუ ნოეს ღმერთმა – ეს ყველაფერი თავდაყირა დააყენა. პირველცოდვა თქვენთვისაც ნაცნობია, ასე არაა? და თქვენ წარმოიდგინეთ – ჩვენთვისაც. ოლონდ ჩვენ ამისკენ გვიბიძგეს. პირველად ეს მაშინ შევამჩნიეთ, მსურველთა გადარჩევა რომ ხდებოდა: რაც გვითხრეს ორ-ორნის თაობაზე ყოვლისაგან ხორცისა, მართალი აღმოჩნდა (გასაგებია – იყო ამაში რაღაც აზრი), ოლონდ ამით ხომ არ მორჩენილა ყველაფერი. აკი ზოგ-ზოგი სახეობისაგან ორ-ორი კი არა, შვიდ-შვიდი დაიტოვეს (ყურადღება მიაქციეთ ისევ ამ რიცხვ შვიდის აკვიატებას!) და თავიდან ასე ვიფიქრეთ, სამარქაფოდ აყავთ, ვინიცობაა ძირითად წყვილს რამე ავადობა შეეყაროს-თქო. ოლონდაც ნელ-ნელა გაირკვა ყველაფერი: ნოემ თუ იქნებ თავად ნოეს უფალმა დაადგინა – ორი სახის ცხოველი არსებობს, წმინდა და უწმინდურიო. შესაბამისად, წმინდები შვიდ-შვიდი აყავდათ, უწმინდურები კიდევ – ორ-ორი.

გასაგები მიზეზების გამო, ამგვარმა სეგრეგაციამ ცხოველები ალაშფოთა და უნდა ითქვას, თავად ეს „წმინდად“ შერაცხულნიც თავს მეტად უხერხულად გრძნობდნენ; ოღონდაც სულ მალე აღმოჩნდა, რომ ამგვარი აღზევება კარგს არაფერს უქადდათ: ეს „სინმინდე“ მხოლოდ იმას ნიშნავდა, ვარგისი არიან საკვებში გამოსაყენებლადო. მოკლედ, შვიდს არჩევდნენ და აქედან ხუთი – პირდაპირ სამზარეულოსთვის ყავდათ გამიზნული. დიდად საეჭვო პატივდებაა, უნდა მოგახსენოთ! თუმცაღა პირობებს კი მართლაც საუკეთესოს უქმნიდნენ, დაკვლამდე.

თავად მე, რალა თქმა უნდა, ამგვარი ვითარების კომიკური მხარეც არ გამომჩინია და დიდად მახალისებდა კიდევ – მოგეხსენებათ, განდეგილობას ერთგვარი უპირატესობანიც გააჩნია, ოღონდ მათ შორის, ვინაც წრეგადასული გულისყურით ეკიდებოდა ამ ამბავს, ეჭვიანობისა და შურის ქარმა ჩამოიქროლა. ღორები მაგალითად, არას დაგიდევდნენ, რაკილა ბუნებით შორს იდგნენ ყოველგვარი ამპარტავნობისაგან, მაგრამ სხვები „უნმინდურობის“ ამ ტვიფარს ლამის პირად შეურაცხყოფად აღიქვამდნენ. მეორე მხრივ, თავად ეს პრინციპი – ან მისი ნოესეული გადააზრება – მეტად შორს იდგა ე. წ. „სალი აზრისაგან“: ბოლო-ბოლო, რა ამისთანა სინმინდე სდევთ თუ მოსავთ წყვილჩლიქოსან რქოსან პირუტყვებს? და რით ჩამორჩებიან მათ აქლემები თუ კურდღლები? ან რატომ უნდა განესხვავებინათ ქერცლოვანი თევზები უქერცლოთაგან?! და რა ეგეთი წუნი უპოვეს გედს, ყარყატს, ჩიტბატონასა თუ – გნებავთ, თეთრთავა არწივს? ოღონდ ეგეთი გამორჩეული პატივი მათ არ ღირსებიათ. ისე, ან რა დასაჩაგრი იყვნენ თავგები თუ ხვლიკები – ამ საბრალოებს ხომ საკუთარი სადარდებელი ისედაც თავზე საყრელად აქვთ! არა, მისხალი აზრი მაინც რომ გვეპოვა ამ გაუგებრობაში, ანდა თავად ნოეს აეხსნა რაიმე ჯეროვნად... თუმცა, მას მხოლოდ ბრმა მორჩილება სჩვეოდა. როგორც რომ უკვე მრავალგზის მოგახსენეთ, ეს ჩვენი ნოე დიდი ღვთისმოსიში კაცი გახლდათ და თუკი მისსავე ღმერთივით მოშურნე და ერთგვარად უჯიათ ხასიათსაც გავითვალისწინებთ, უკეთესი შემსრულებელი არც გინ-

დოდა. ოღონდ თქვენც რომ გაგეგონათ საბრალო ხამანკებისა თუ კიბორჩხალების მოთქმა, ან სირცხვილისაგან საკუთარ ბუმბულში თავჩარგული წერო გენახათ, წამსვე მიხვდებოდით, რომ ჩვენს შორის ეს ძველი, კეთილი ურთიერთობები წარსულს ჩაბარდა.

და კიდევ ერთი პატარა უხერხულობაც ახლდა ამ ყველაფერს: ჩვენი სახეობიდან, უჩუმრად რომ მოხვდა ზემოხსენებულ კიდობანში, ბედის დაცინვა იყო თუ რა, მაგრამ ზუსტად შვიდნი ვიყავით. ანუ – არა მარტო უნებართვო მგზავრები გახლდით (რაც, თავისთავად, უკვე ბევრს აღიზიანებდა კიდევ), არა მხოლოდ „უნმინდურებად“ შერაცხულები (და შესაბამისად, უკვე ამრეზითაც კი გვიყურებდნენ ბევრნი), არამედ ამ კანონიერ, „წმინდა“ სახეობებსაც შეურაცხვეყოფდით ამგვარი რიცხობრივი თანაფარდობით! ჭკუა გვეყო და ამის მერე, არათუ არავის ვუმხელდით ჩვენს როდენობას, ერთად არცკი ვჩნდებოდით ხოლმე სადმე, ხოლო ზოგან – საერთოდ არ ვყოფდით ცხვირს.

ასე რომ, შეიძლება ითქვას, ამ ჩვენს საზღვაო ქარავანს იღბალი იმთავითვე არ დაჰყოლია: ზოგი ჩვენთაგანი იმათ მისტიროდა, ვისი სასიკვდილოდ განირვა და ხმელეთზე დატოვება მოუხდა; ზოგი თავიანთი სტატუსით გახლდათ უკმაყოფილო, ხოლო ვინც თითქოსდა ყველაფრით კმაყოფილი უნდა ყოფილიყო, იმას ღუმელში და შემდგომ, სუფრაზე მოხვედრის შიში თანგავდა. ახლა, ამას ყველაფერს თავად ნოესა და მისი დამქაშების ქცევაც დაუმატეთ.

საწყენად კი არ ვამბობ, ღმერთმა დამიფაროს, მაგრამ ეგ თქვენნი ნოე დიდი ვერაფერი შვილი გახლდათ – მოკლედ რომ ვთქვათ, ვერ იყო მთლად კარგი კაცი. მესმის, არავის გეამებათ ამის გაგონება – აკი სულ მის პირდაპირ შთამომავლებად თვლით თავს, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება – დიდი უგვანი ვინმე იყო: თვითკმაყოფილი და თვითკმარი პატრიარქი, დღის ერთი ნახევარი რომ თავის ღმერთს უგორებდა კოჭს, მეორე ნახევარი ჩვენზე ანთხევდა დაგროვილ ბოღმას. საკუთარი საბიჯგელი ურთხელისაგან გამოთალა, რომელიც მისმა ღმერთმა ურჩია საშენ მასალად და... მოკლედ, ზოგიერთ ცხოველს დღემდე ზოლებად დასდევს იმ ურთხელის კვალი.

ისე, გამოგნებელი ამბავია, რა შეუძლია შიშს და გამიგია კიდევ, თქვენს მოდგმაში მისგან ზოგს თმაც კი მეყვსეულად გასთეთრებია; ოღონდ ეგ რაა – ჩვენს კიდობანში ეგეთები მომხდარა?! აი მაგალითად, იყო ხვლიკების ერთი წყვილი – ნოეს ფეხის ხმას გაიგონებდნენ თუ არა, წამში იცვლიდნენ ფერს: მათი ბუნებრივი კანისფერი გარემოს ეხამებოდა და ჩემი თვალით მაქვს ნანახი, როგორ აჩეჩა ნოემ მხრები, გალია რომ, მისი აზრით, ცარიელი დაუხვდა! ხოლო როგორც კი მისი საბიჯგელის კაკუნის ხმა მიწყდა, ამ საცოდავმა, დამფრთხალმა ქვენარმავლებმა ნელ-ნელა ისევ მიიღეს ჩვეული სახე. შემდგომში – ასე ვთქვათ, პოსტ-საკიდობნე ხანაში მათ ეს ჩვევა ძალზე გამოადგათ; ყველაფერი კი „ადმირალის“ წინაშე შიშმა გამოიწვია, მე ვარ ამის ცოცხალი მოწმე.

ჩრდილოური ირმების ამბავი კი ცოტა უფრო რთულად იყო: ეგენი ისედაც ძალზე მფრთხალი ცხოველები არიან და აქ მარტო ნოეს მიმართ შიშის საკითხი არ იდგა – უფრო ღრმა, ქვეცნობიერ შრეებში უნდა ვეძიოთ მიზეზი. ათასწლეულების განმავლობაში, ხომ თქვენც კი შეამჩნიეთ, ზოგიერთი ჩვენთაგანი წინასწარმეტყველების უნარით რომაა დაჯილდოებული?

„ერთი შეხედე, – იტყვიტ ხოლმე, – ძროხები ბალახზე წევიან... ნაღდად იწვიმებს!“ რაღა თქმა უნდა, საქმე არც მთლად ასე მარტივადაა და ცხოველებს მეტი საქმე არა აქვთ, ადამიანების მოდგმას რაღაც ფლიუგერების მაგივრობა გაუწიონ, ოღონდ ამ ირმებს ნაღდად რაღაც უფრო მეტი აშინებდათ, ვიდრე ნოეს უჯჯათი ხასიათი, ვიდრე წყლის ამ უკიდევანო სივრცეში ატეხილი ქარიშხალი... არა, რაღაც უფრო შორეული უფორიაქებდა სულს და ოფლად იღვრებოდნენ, დაფეთებულნი ხვიხვინებდნენ, სწორედ მაგ ურთხმელის ფიცრებს სცემდნენ ჩლიქებს და ეს მაშინ, როცა უშუალოდ მათ არც არაფერი ემუქრებოდათ და ნოეც შედარებით უწყინარ ხასიათზე გახლდათ ხოლმე. რაღაცას გრძნობდნენ წინასწარ, რაღაცას ჩვენთვის მიუწვდომელს, სახიფათოს... თითქოს გვეუბნებოდნენ: თქვენ რა, გგონიათ, რომ მართლა ცუდ დღეში ვართ? ჯერ მოიცადეთ... თუმცა როგორც უკვე მოგახსენეთ, თავა-



დაც ვერ გარკვეულიყვნენ რიგიანად, რა ანუხებდათ, რა შორეული ხიფათის მოლოდინში იძაგრებოდნენ!

დანარჩენებს კიდე, გასაგებია, იმჟამინდელი უფრო გვანუხებდა – აი მაგალითად, დაავადებულ ცხოველებს მეტისმეტი სისასტიკით რომ ეპყრობოდნენ: სანიტარული ალალი წყალში დაინთქაო, გვეუბნებოდნენ და არც თქვენი ავადმყოფობა გაევიგონოთ და არც რამეო. ასე რომ, ძალზე კარგად მოგვეხსენებოდა – საკმარისი იყო უდროოდ მოგეფხანა ფერდი ან ცუდად ჩაგეხველებინა და ნამში მოგისვრიდნენ კიდობნიდან! ვერაფერიშვილი გადანყვეტილება გახლდათ, რალა თქმა უნდა – მერე შენს მეორე ნახევარს რა დაემართებოდა, ხომ გესმით? აბა ვის რალაში სჭირდებოდა საქორწინო წყვილის თუნდაც უკეთესი ნახევარი? ეს ჩვენი ნოე ნამდვილად არ გამოირჩეოდა გრძნობიერებით და აზრადაც არ მოუვიდოდა, უბედური ქვრივი ენუგეშებინა რითიმე... იქვე სამზარეულოს გზას გაუყენებდა.

არა გჯერათ? აბა მამ მითხარით ერთი, თქვენი აზრით, მთელი ეს ხანი რითი იკვებებოდა ნოე და მისი ჯალაბობა? ღმერთო დიდებულო – ჩვენი, რალა თქმა უნდა! აბა ერთი ახლანდელ ფლორას გადაავლეთ თვალს – ცოტანი გაკლიათ თვალში? ვთქვათ, ზოგი სახეობა ერთმანეთს გავს, კი ბატონო, მაგრამ მერე – რალაცნაირი წყვეტა და ისევ მსგავსება... ვიცი, ვიცი – დამინყებთ ახლა – ეს გარემოს ზეგავლენაო, ეს – გამომუშავებული თუ შთამომავლობით მიღებული უნარ-ჩვევებო. მაგრამ ყველაფერი ბევრად უფრო მარტივი ასახსნელია: სახეობათა ერთი მეხუთედი ვარადისთან ერთად დაილუპა; დანარჩენი გამქრალეები კი ნოესა და მისი სახლეულის საკვებად გაიხარჯა. აი მაგალითად, იყო იქ არქტიკული ბოლოქანქარას წყვილი – ავ თვალს არ დაენახვებოდნენ, მოცისფრო-მოვერცხლისფრო ბუმბული ედოთ, ალაგ-ალაგ დანიწკლული. ოღონდ რამდენიმე თვეში, როგორც ეს წესად ედოთ, ფერიცვალება იწყეს – საზაფხულო ბუმბული გასცივიდათ და მის ქვემოთ ქათქათა თეთრი საფარველი გამოუჩნდათ. გასაგებია, არქტიკისაგან შორს ვიყავით და ზამთრისთვის ეს მზადებაც სრულიად ზედმეტი გახ-

ლდათ, მაგრამ ბუნება მბრძანებელია, მოგეხსენებათ და რა გინდა რომ ქნა? ვერაფერს მოუხერხებ. ვერც ნოეს მოუხერხეს ვერაფერი – დაიჟინა, რალაც სახადი შეჰყრიათო და სხვა დანარჩენ არსებებზე ზრუნვით გონებადაბინდულმა, შიგ ადუღებული წყლით სავსე ქვაბში უკრა ორივეს თავი, ზედ კიდე რალაც-რალაც წყალმცენარეებიც დააჭრა. კაცი ორნითოლოგიაში კი არა, პირად ჰიგიენაში ვერ ერკვეოდა წესიერად და ამისთანასთან რა გაგვივიდოდა? არა, დიდი არზა კი შევადგინეთ, სულ წვრილად ავუსხენით ფერიცვალებისა და კიდევ სხვა რალაც საკითხებიც და მერე და მერე, მგონი ცოტათი აზრზეც მოვიდა, ოღონდ ამით არქტიკულ ბოლოქანქარებს რა ხეირი?

საერთოდაც, უნდა გითხრათ, რომ ნოე და მისი ოჯახი ჩვენ ყველას ერთ დიდ, მცურავ დუქნად აღგვიქვამდა და კაცი არას დაგიდევდათ, წმინდა იყავი თუ – არც ისე. ჯერ სავსე სტომაქი და მერე – მარხვა, ასეთი იყო წესი და რიგი. ეგებ ვერც კი ხვდებით, რაოდენი დაკარგეთ მისი მუცელმერთობის წყალობით. ან იქნება და პირუკუ: ძალიანაც კარგად იცით ყველაფერი, იმიტომ რომ ერთთავად რალაცებს წარმოიდგენთ ხოლმე – ათასგვარ მითიურ ცხოველებს, წარსული დროის თქვენი პოეტები რომ სახავდნენ ერთიმეორეზე უკეთ – თქვენ გგონიათ, მართლა იგონებდნენ, ან მავანი, ზედმეტად გადაკრულში მყოფი მონადირეების შეთხზულ ზღაპრებს იმეორებდნენ? არა, ბატონებო – ეგენი სულ ნოემ და მისმა ამქარმა დაათოხლავა! დასაწყისში ხომ მოგახსენეთ, კიდობანში ორი მშვენიერი ბეჰემოთიც გვყავდა-მეთქი (თავად მე თვალშიც არ მომიკრავს მათთვის, ვერ მოვიტყუები, მაგრამ ვინც ნახა, ირწმუნებოდნენ – ძალიან შთამბეჭდავი ვინმეები იყვნენო), ოღონდ სემმა, ქამმა და იაფეტმა ოჯახურ საბჭოზე საკითხი გაიტანეს განსახილველად – თუკი სპილოებიცა გვყავს და ჰიპოებიც, ეს ბეჰემოთები რალაში გვარგაიო? ჰოდა, საბუთად ისიც დაუსართეს, მაგათი შებოლილ-დამარილებული ხორცი რამდენიმე თვე გვეყოფაო.

ცხადია, ყველაფერი ამით არ დასრულებულა. რამდენიმე კვირის თავზე ნოესიანები აწუნუნდნენ, ყოველდღე ბეჰემოთის შაშხი

მტერმა ჭამაო და სუფრის განსაახლებლად კიდევ რამდენიმე სახეობა მოიღეს მსხვერპლად. შიგადაშიგ ვინმე კი წაიბურტყუნებდა ხოლმე რალაცას მომჭირნეობის აუცილებლობის თაობაზე, მაგრამ ფაქტია – ჩვენი მოგზაურობის დასასრულისთვის ბლომად ბეჭემოთის შაშხი შერჩა საკუჭნაოს კაუჭებს.

იგივე ბედი ეწიათ სალამანდრებს. რალა თქმა უნდა, ნამდვილ სალამანდრებზე გეუბნებით, და არა იმ უღიმღამო არსებებზე, თქვენ რომ ახლა ასე უწოდებთ. ის სალამანდრები კი მართლა ცეცხლში ცხოვრობდნენ და რაა აქ სადაო – ნამდვილად ყველა სხვა ცხოველებისაგან გამოირჩეოდნენ! ოღონდ ქამმა, სემმა და იმ მესამემ დაიჟინეს, ამათი ხომალდზე ყოფნის შემთხვევაში ხანძარსაწინააღმდეგო ნორმების დაცვაზე ლაპარაკიც კი ზედმეტიაო, დაავლეს ხელი და იმ ორი კინკილა ცეცხლის ალთან ერთად, საცა და რაშიც ბინა ედოთ საცოდავებს, წყალში გადაუძახეს! მერე კარბუნკულების ჯერიც დადგა – და ესეც იმ რალაც უზადრუკი მონაჩმანის გამოისობით, ვითომდა მაგათ თავში ძვირფასი ქვა ეზრდებათო. ქამის ცოლს კი ეგეთებზე სულ ელეთ-მელეთი მოსდიოდა, მუდამ მძივ-სამაჯურებით აჩონჩხილი დაიარებოდა ხოლმე. ჯერ ერთს წაასოსნეს თავი, ქალა გადაუხსნეს და რომ ვერაფერი იპოვეს, ახლა აზრი გაუჩნდათ – იქნებადა მხოლოდ ხვადს ეზრდება და არა ორივესო? მაშინ მეორესაც იმავე გზით მოუსწრაფეს სიცოცხლე – ოღონდ შედეგი, ცხადია, კვლავაც უარყოფითი გახლდათ.

მთელ ამ ამბავთან დაკავშირებით, ერთი აზრი მაინც არ მასვენებს – იქნებადა საკამათო იყოს, მაგრამ მასაც ხომ აქვს არსებობის უფლება? ერთხანობა, ჩვენ ყველანი ამ მკვლევლობებში რალაც სისტემური მიდგომის კვალს ვამჩნევდით: აშკარა იყო, უფრო მეტი სახეობა განყდა, ვიდრე ამას ადამიანთა გამოკვების საჭიროება მოითხოვდა. და ასევე, ზოგ მათგანზე კბილის გასაკრავიც ხომ არაფერი იყო! თოლიები კი შიგადაშიგ მიგვანიშნებდნენ – ხდება ხოლმე, რომ ხელუხლებელი, კულინარიული თვალსაზრისით სულაც მოუმზადებელი საკლავი იყრება წყალშიო. ამიტომაც გაგვიჩნდა არცთუ მთლად უსაფუძვლო ეჭვი – ნოესა და მის ოჯახს ზოგი

ფრინველ-ცხოველი უბრალოდ, თვალში არ მოსდიოდა! სიტყვაზე, ბასილისკოების წყვილი რალაც საეჭვოდ ადრე გაქრა გემბანიდან, და თუმც ნებისმიერს დავეთანხმები – დიდად ვერაფერი საამო შესახედები იყვნენ, მაგრამ არც ხორცი იჭმებოდა მათი და არც რამე ავადობა შეჰყრიათ – მაგაზე ყველა ჩვენთაგანი თავს დადებს.

მერე და მერე რალაც-რალაც ეჭვები გაგვიჩნდა – თითქოს მწყობრი გეგმა იკვეთებოდა ამ უცნაურ ამბავში და მისი განხორციელებაც სწორედ ბასილისკოებით დაიწყო. რალა თქმა უნდა, თქვენ ისინი თვალთაც არასოდეს გინახავთ – ოთხფეხა მამლებს გავდნენ, გველის კუდები ებათ და მეტად უსიამო გამოხედვა ახასიათებდათ. და რა მერე? განა მათაც იგივე უფლებები არ გააჩნდათ, რაც ყველა სხვას? მაგათ მერე გრიფონები მიჰყვნენ, გრიფონებს – სფინქსები, სფინქსებს – ჰიპოგრიფები... თქვენ კიდევ გგონიათ, ეგენი სულ ვიღაც ტვინნალრძობი პოეტების გამოგონილი არსებებია? გეგონოთ. უბრალოდ, ეგენი ყველანი სულ ნაჯვარი ცხოველები იყვნენ. იქნებოდა სემი, ან თავად ნოე ზრუნავდნენ სახეობათა სინმინდებო, იკითხავთ. ერთი ნოეს ცოლის, სამი შვილისა და რძლებისათვის შეგეხედათ და წამსვე მიხვდებოდით, რა გენეტიკური სიჭრელეც ელოდა ადამიანთა მოდგმას! და აბა, იმ ნაჯვარებმა რალა დააშავეს?!

თუმცა, ყველაზე სამწუხარო მაინც რქაცხენას ამბავი გახლდათ: მთელი სამი თვე ვერაფრით ამოვიგდეთ თავიდან მისი გაქრობა. ხმებიც კი დაირხა – ქამის ცოლი მის რქას ყოვლად უხამსი საჭიროებისთვის იყენებოდა; ხელისუფლებამაც არ დაახანა და ძალ-ღონეს არ იშურებდა მისი ხსოვნისათვის ჩირქის მოსაცხებად – აქაოდა საკუთარი მძიმე ხასიათის მსხვერპლი შეიქნაო. ფაქტი ფაქტად რჩება – პირადად ნოემ აითვალწუნა ეს უკეთილშობილესი ცხოველი, რადგან ყველანი ალაღად პატივს ვცემდით, მამათავრისა კი მხოლოდ გვეშინოდა. ბოლო-ბოლო, რაა დასამალი – ეს თქვენი ნოე ერთი ხეპრე, სუნიანი, ეჭვიანი, გულბოროტი და შურით სავსე ვინმე გახლდათ! მეზღვაურადაც ხომ არაფრად ვარგოდა – რამდენი ქარი ამოვარდებოდა და ღელვა ატყდებოდა,

იკეტებოდა თავის კაიუტაში, იწვა გამშლართული და გულზიდვის შესამსუბუქებლად კუჭის წვეს ანთხევდა ხის დიდ ტაშტში – მაგისი ყროლი ხომალდის ცხვირიდან კიჩომდე უწევდა ხოლმე. აი, რქაცხენა კიდე მისი სრულიად სანინალმდეგო არსება გახლდათ – ღონიერი, უშიშარი, უპატიოსნესი, მის კანს მუდამ კრიალი გაჰქონდა და ძუაც ღერი-ღერზე ჰქონდა ხოლმე დავარცხნილი. ერთხელ, გაქანებული ქარიშხლის დროს, ქამის ცოლი გემბანზე გამოეხეტა, წონასწორობა დაკარგა და ის იყო, წყალში უნდა მოედინა ზღართანი, რქაცხენა რომ თეჯირს გადაახტა, გაექანა და მისი მოსასხამის აფრიალებული კალთა რქით მიაღურსმა მოაჯირს! მაგრად კი გადაუხადეს მადლობა – ზედ ჩვენი ნაოსნობის წლისთავზე დაამშვენებინეს სუფრა – წვნიანიც შეეკაზმათ მისი ხორციით და შემწვარ-მოხრაკული სახითაც მიაართვეს მეინახეებს. შემიძლია დავიფიცო, მართალს გეუბნებით – რადგან თავად იმ ორბს ველაპარაკე, სათაო კიდობნიდან სემისაზე რომ გადაჰქონდა შეორთქილი ქვაბი.

შეგიძლიათ, არ მენდოთ; მაგრამ თავად თქვენი წიგნები რას იუწყებიან, აღარც ის გახსოვთ? ჯერ მარტო ნოეს სიშიშვლის ამბავი რადა ღირს! ეგ უკვე ხმელეთზე გადასვლის მერე მოხდა: ნოე, როგორც არასდროს, ისეთი კმაყოფილი გახლდათ საკუთარი თავის – აბა როგორ, მთელი კაცობრიობა გადაარჩინა, ანუ – საკუთარი გვარის ზეობა ისე განამტკიცა, ვინლა იყო მისი წინააღმდეგომი! თავად ღმერთმა პირადად მას დაუდო სამარადუჟამო ხელშეკრულება და ახლა შეეძლო, სიცოცხლის ის დარჩენილი სამასორმოცდაათი წელი ნეტარ უსაქმურობაში გაეტარებინა. მთის კალთებზე პანია დასახლება დაარსა (თუ არ ვცდები, თქვენ მას არღურად იხსენიებთ), იჯდა და სხვა რა საქმე ჰქონდა – სულ ახალ-ახალ წოდებებს იგონებდა თავისთვის: „ქარიშხლის წმინდა რაინდი“, „ოთხივ მხარის ქართა მბრძანებელი“ და რა ვიცი, რას არა... გაიძახით – ვაზი დაასხაო... რა უნდა მაგ ეფემიზმის მიხვედრას?! ლოთობდა, ეგ იყო და ეგ! ერთხელაც კიდე, მთლად რომ გატყვრა, ლოგინამდეც ველარ მიაღწია და იქვე, იატაკზე გაიშოტა. ქამი და მისი ძმე-

ბი კი სწორედ ამ დროს მიბოდილობდნენ სადღაც, ბრაგვანის ხმა მოესმათ და იფიქრეს, ემანდ რამე ხომ არ მოიწია ამ ჩვენმა ლოთმა მამამო, შევიდნენ მის კარავში და რას დაინახავდნენ?! როგორი სანახავია, ექვსასორმოცდაათი წლის ბეხრეკი, შიშველ-ტიტველი რომ გდია ძირს და მთელი თავისი საბერველებით რომ ხვრინავს? ქამს მაინც ეყო ზრდილობა და ძმებს უთხრა – მთლად ასე ნუ დავტოვებთ, რამე გადავაფაროთ და ისე ჩავანვინოთ ლოგინშიო. ისინიც უკუსვლით მიუახლოვდნენ და ისე გადაათრიეს მძინარე მამა, ერთხელაც არ დაუხედავთ მის სარცხვინელზე (ეგეც კიდევ ერთი უცნაური ახირება – გამრავლების ორგანო, რატომღაც, დიდად სარცხვინელ სანახად რომ ითვლება!). და რა მერე? ამისთანა კდემამოსილ და მშობლის პატივისმცემელ ძეს რითი გადაუხადა მადლობა ჯერაც მაჭრით გამობრუჭულმა ამ მემთვრალემ? ქამი და მთელი მისი შთამომავლობა მიანყველა და დაუდგინა – ან და მარადის, ჩემკენ უკანალმოშვერილი შენი ძმებისა და მათი მონაგარის მსახურებად დარჩებითო! ხედავთ ამაში თქვენ სიბრძნის რაიმე ნიშანს? იტყვიტ ალბათ – ლოთობამ გონება აუშლვრია და შესაცოლია ეგ კაცი, განსასჯელი კი არაო. დაუშვათ. ოლონდ ერთსაც ვიტყვი: თქვენგან განსხვავებით, ჩვენ მას პირადად ვიცნობდით.

ნოე ერთი ბეხლენი ვინმე გახლდათ, მთის გორილას ხელა, თუმცა ამაზე მათი მსგავსება თავდებოდა კიდევ. თავიდან მხოლოდ ამ ჩვენი ფლოტილის კაპიტნად რომ იხსენიებოდა და მერე კი ადმირალის ნოდებაც დაისაკუთრა, დიდი მოუხერხებელი ვინმე გახლდათ და თან – პირადი ჰიგიენის არცთუ გულდაგულ მიმდევარი. თმასაც კი ვერ იზრდიდა წესიერად და სხვა ცხოველების ბუნვით იფარავდა ხოლმე თავს. ახლა ეს არსება ამოუყენეთ გვერდში გორილას და მათ შორის უპირატესსაც უმალ გამოარჩევთ. ბოლობოლო, გორილა რწყილს მაინც არ იჩერებს საკუთარ სხეულზე. კიდობნის მოსახლენი ბევრს ვბჭობდით ხოლმე ამ თავსატეხზე – რა ნიშნით არჩია უზენაესმა ადამიანი და სხვა, აშკარად უფრო ღირსეული შეთავაზებები კი უარჰყო. თქმაც არ უნდა, ამ შემთხვევაში სხვა ცხოველები შეუდარებლად უკეთ მოიქცეოდნენ, გორი-

ლას წინააღმდეგომნიც ნაკლებად გამოჩნდებოდნენ და საერთოდ, იქნებოდა თავად წარღვნის საჭიროებაც არ დამდგარიყო.

ახლა, სუნს აღარ იკითხავთ? ერთია ცოცხალ ცხოველთა მოვლილი, მბზინავი, ნოტიო ბენვი და სულ სხვა – მოკლულ-გატყავებულთა ჩამობრანძული ტყავეული, გაუხდელად რომ მოსავს ორფერხა არსებებს! ნოე კიდევ ამ საკითხშიც გამორჩეული ვინმე გახლდათ.

კარგი, შევეშვათ ამას. სადარდებელი სხვაც ბევრი გვექონდა. მართალია, ვინმეს საკვებად ქცევა ჩვენ პირადად, არ გვემუქრებოდა და მოგეხსენებათ, მაშინ არც ეგეთი საშინელი მწერთა მომშობი ქიმიკატები არსებობდა – ვიყავით ჩვენთვის ჩუმად და მშვიდად, საკუთარ საბუდრებში. ოღონდ ერთი დაუძინებელი მტერი ჩვენს სახეობასაც აღმოაჩნდა – მტერი დამთმენი და აუჩქარებელი – დრო. ვაითუ დრო-ჟამმა ჩვენზეც იქონიოს გავლენა და ათასნაირი მუტაცია-გარდასახვები დაგვენყოს-თქო, ვეჩურჩულებოდით ერთმანეთს. ხომ შეიძლებოდა, თანდათანობით, ღრინაკალებად ან შხამიან ბზიკებად – შემდგომში Braconidae-ებად წოდებულ, ავზე-ავ სახეობად გადავქცეულიყავით? და აი, ერთხელაც, უკვე მოგზაურობის დასასრულისკენ, მთვარიან ღამით, როცა ბუზის გაფრენასაც გაიგონებდით და არცერთი ცხოველი ჩქამსაც კი არ იღებდა ბაგებიდან, საოცარი ტიკტიკი გავიგონეთ, რომელსაც ჩვენი ბიძაშვილები – *xestobium rufo-villosum* გამოსცემდნენ. არა, წარმოგიდგენიათ?! ჩვენ, მუდამ სალად მოაზროვნე *anobium domesticum*, ღმერთმანი, საკუთარ ყურებს არ ვუფერებდით! ის, რომ კვერცხი ჭუპრად იქცევა, ხოლო ჭუპრი – ზრდასრულ მწერად, ჩვენი სახეობის მარად ურყევი კანონია და ამისათვის ვინ გიჟი დაგვძრახავს, მაგრამ როცა ამ დღეში ჩავარდნილთ, და მაინცდამაინც სწორედ ამისთანა ამინდში მოუნდათ ჩვენს თვისტომებს საკუთარი სექსუალური მისწრაფებების გამოვლენა – ეს უკვე უგზურობა და უგზურობაზე მეტიც კი იყო! ან იქნებ ეს უკვე ერთგვარი ნევროტული რეაქციაც გახლდათ სახეობის შესაძლო გაქრობის საფრთხის აღქმაზე...

და ბედი არ გინდა? როცა ეს ჩვენი თავქარიანი ნათესაობა ხის თავშესაფრიდან გარეთ გამოსვლასა და მთელი ხმიანობით შეწყვილებას ლამობდა, სწორედ ამ დროს ნოეს რომელიღაცა ვაჟმა გამოიარა – ნეტა ეს რალა უცხო ქრიჭინაო, ფიქრობდა ალბათ. ბედი ჩვენი, „ადმირალის“ შთამომავალნი ძალზე ცუდად ერკვეოდნენ მათზე განერილ ცხოველთა ზნეში და მანაც ეს ტკაცვა-ტკუცი კიდობნის ფიცრების ხმად მიიჩნია. კიდეც კარგი, მალე ისევ ქარი ამოვარდა და ამგვარი ხმები უკვე ველარ სწვდებოდა ადამიანის სმენას. ასე იყო თუ ისე, ჩვენ მაინც გადავწყვიტეთ, სიფრთხილეს თავი არ სტკივო და ხმელეთზე გადასვლამდე ჭუპრების გამოჩეკვისაგან თავი შევიკავეთ.

ახლა იმასაც მოგახსენებთ, როგორი მეზღვაური გახლდათ ნოე – გინდა წყნარ წყლებში გვეცურა და გინდა – ქარიშხალში მოვყოლილიყავით. ბოლო-ბოლო, ეს კაცი მისი ღვთისმომშიშობის გამო იქცა რჩეულად და არა ნავიგაციაში გათვითცნობიერებისა გამო. მოკლედ, არც წყნარში ვარგოდა და არც ქარში. მე საიდან ვიცი? საიდან და – ჩიტებმა მომიტანეს ამბავი. მაგათ რა – მთელი კვირები შეუძლიათ იფრინონ და დედამიწის ერთი ბოლოდან მეორეს მიაღწიონ! მაგათ რო სანავიგაციო სისტემა უდევთ თავში, თქვენ არც დაგესიზმრებათ. მოკლედ, სწორედ მათ მითხრეს – მაგ ნოეს მარტო ლოცვა და ბაქი-ბუქი შეუძლია კარგად, დანარჩენის გარტყმაში არააო. არადა, რა იმისთანა საძნელო საქმე ებარა? ქარიშხლიანი ადგილებისათვის უნდა შემოევლო და წყნარ ამინდში კი გეზი არ შეშლოდა – სადმე საჰარას არ მიდგომოდა თავისი კიდობნებით. ეგ იყო და ეგ. იმაზეც მაღლობა, სადმე შუა ოკეანეში რომ არ ჩაგვტოვა.

რა სათქმელია – რამდენჯერ არ შესთავაზეს ფრთოსნებმა დახმარება, იმდენჯერ შორს დაიჭირა. მარტო იმას ავალებდა, ქარბორბალა თუ ტრიალებდა სადმე წინ, ის ეცნობებინათ მისთვის დროულად ან მორევი თუ იყო სავარაუდო – ეს ზემოდან გაცილებით უკეთ ჩანდა. ერთხელ კი გაქანებულ ქარაშოტში მყივანა ბატი გაუშვა დაზვერვაზე – მეტჯერ ის საცოდავი აღარც გვინახავს. ბო-



როტი ენები ამბობდნენ, მაგის ყვილი უფრთხოდა ტკბილ ძილს და იმიტომაც გადაემტერაო.

არა, რალაც-რალაც ღირსებები ნოესაც ჰქონდა, ვერ დაუუკარგავ: ვთქვათ, დღეგრძელობის საიდუმლოს რომ ფლობდა – მერე არც არავის გაუმხილა და ახლა ადამიანები მის მეხუთედ ხანსაც კი ვერ ცოცხლობენ. ოღონდ კარგი კაცი რომ არ ეთქმოდა აქედანაც ჩანს. და თავისი ხომალდის ხერხემლის ქვეშ რომ ვირი გაატარებინა, ის თუ იცით? იმ თქვენს საღვთო წიგნში ამაზე არაფერია ნათქვამი? ცურვის მეორე წელი იდგა, კანონები ცოტა მოაბოშეს და ცხოველებსაც ერთმანეთთან მეტ-ნაკლები ურთიერთობის ნება მისცეს. მაგრამ ვირმა მეტიც მოინდომა და ფაშატს არ მიუდგა დასაგრილებლად? ატყდა ერთი ამბავი. კეთილი აქედან არაფერი გამოვაო, ნოემ იფიქრა (ხომ გეუბნებოდით, შეჯვარების დიდი მტერი გახლდათ-მეთქი!) და გადწყვიტა, სამაგალითოდ დაესაჯა ის საცოდავი: ჩლიქები ერთმანეთზე გადაუბეს, ხომალდს ქვემოდან ბაგირი გაუტარეს და ერთი მხრიდან მეორეზე სულ ყვინთვით აიძულეს გამოსვლა. ზოგმა ისიც თქვა, სექსუალური ეჭვიანობის ნიადაგზე გაუტია ნოემო. ვირი გადარჩა – მაგარი ამტანი ვინმეები კი არიან – და თვალი რო გაახილა, პირველი ეგა თქვა: ანა მე მკითხეთ, როგორია ზღვის ლომობაო. აი, იუმორის გრძნობაც ამას ქვია! თუმცა, კიდევ ერთი სახეობის დაკარგვას რომ ბენვზე გადავურჩით, ეგეც ხომ ცხადია.

თუმცა მარტო ნოეს ბრალიც არ იყო ყველაფერი. აკი მაგალითს იმ თავისი ღმერთისაგან იღებდა! რასაც არ გააკეთებდა, ყველაფერზე მისი მოწონება-დასტურყოფა იყო საჭირო. მოკლედ, ბავშვივით ექცეოდა. არადა, რის ბავშვი, რა ბავშვი – ექვსასს იყო გადაცილებული. ბოლო-ბოლო, ამ ხნის კაცს რალაც საკუთარი აზრიც ხომ უნდა გიჭიატებდეს თავში?! ჯერ მარტო ხის მაინცდამაინც იმ ერთ ჯიშს რას გადაეკიდა – მე მკითხეთ, ოცი მაგაზე უკეთესი იზრდებოდა ახლოში, იმან კიდევ ეშმაკმა უწყის საიდან ჩამოაზიდვინა! არ მითხრათ ახლა, ეგ საიდანლა იცით – მაგის მეტი რა ვიცი! ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, ვის გაუგია ხომალდის მხოლოდ ერთი ჯიშის ხიდან გამოთლა?! ყველა ნაწილს თავისი

განსაკუთრებული მახასიათებლის მქონე მასალა სჭირდება – მაგას ნებისმიერი დურგალი გეტყვით, მაგრამ ნოეს შენ შეაგნებინებდი რამეს?

ოლონდ საქმეც ეგ იყო, რომ როგორც უკვე გითხარით, იმ თავისი ღმერთის ბრძანებებს ასრულებდა სიტყვაშეუბრუნებლად. ნეტა ის რას იტყვისო – ერთთავად ეგ ეკერა პირზე. სამაგიეროდ, ეჭვები არასოდეს ღრღნიდა; ღვთის რჩეულს, წარღვნას გადარჩენილს, ქვეყნად ერთადერთი გვარის მამამთავარს – დაგეხვევა ცუდმედიდობის თავბრუ, აბა რა იქნება? და არც მისი შვილების – სემის, ქამისა და იმ მესამის ეგოებს წაადგა ეგ რამეში: გემბანზე ისე მიმოდიოდნენ, სამეფო ოჯახი გეგონებოდა.

ერთიც უნდა ვთქვა, რა მაქვს დასამალი? თქვენ გგონიათ, ნოე ფლორა-ფაუნაზე გადაგებული ბუნების დამცველი იყო და ჩვენს გადასარჩენად იღვწოდა? აქაოდა, უჭირაფოდ ჩემს ცხოვრებას რაღა აზრი ექნებო? არ დაიჯეროთ – ამ ყველაფერს იმ თავისი კერპის უზენაესი ბრძანებითა და საკუთარი თავის საამებლად სჩადიოდა! ამ ხუთნახევარი წლის განმავლობაში, საკვებად ვარგისი მცენარეული საფარის უდიდესი ნაწილი, პირდაპირი მნიშვნელობით – წყალმა წაიღო და სრულად განადგურდა. ეგ საქმე მარტო ბრინჯს წაადგა კეთილად. ასე რომ, ჩვენ ყველას ორ, ოთხ თუ ეშმაკმა უწყის, რამდენფეხიან კერძებად გვიყურებდა – ეგ იყო და ეგ. ჩვენი შთამომავლობაც სწორედ მაგისთვის სჭირდებოდა, საკუთარი ოჯახისა და მონაგარის გამოსაკვებად! ამიტომაც იყო, კიდობანში შიშისა და პარანოიის გამოვლინებები რომ იჩენდა ხოლმე თავს წარამარა. დღეს ქამის ცოლს არ მოუხვედი თვალში, ხვალ კი უკვე ცეცხლზე გაშიშხინებენ. ამგვარმა ზაფრამ და ავის მოლოდინმა შესაძლოა, უცნაურზე-უცნაური ქმედებებისაკენ უბიძგოს ნებისმიერ არსებას და მახსოვს, ლემინგების წყვილს რომ წაუსწრეს – წყალში აპირებდნენ გადაშვებას, ასეთ არსებობას სიკვდილი გვირჩევენიაო. კიდე კარგი, სემმა ჩაავლო ქერიებში ხელი და სადღაც, საკუჭნაოში გამოკეტა. თუმცა, როგორც ამბობდნენ, ღამ-ღამობით ხშირად ჩადიოდა იქ და გალიის წინ დიდრონ დანას უტრიალებდა. ხუმრობდა თავისი ჭკუით.

რალა თქმა უნდა, წარღვნის მერე მამაზეციერმა აღარ დაახანა და დააკანონა კიდევ ნოეს უფლება, ჩვენგან ნებისმიერი აერჩია ხოლმე მუცლის ამოსაყორად. წყვილში შეადგინეს თურმე ეს რალაც ხელშეკრულება იყო თუ აღთქმა, და მე თუ მკითხავთ, გვარრიანი სისულელეც გამოუვიდათ: ბოლო-ბოლო, ყველა სხვა რომ აღგავა პირისაგან მიწისა, რალა უნდა ექნა – ნოეს ოჯახი მაინც აღარ დაერჩინა? ხომ ველარ ეტყოდა – არც თქვენ ხართ დიდი ხვითოებიო და მათზეც ჩაექნია ხელი – ეს უკვე სრული მარცხის აღიარება იქნებოდა. ცხადია, გინდა დაედოთ ეგ რალაც აღთქმა და გინდა არა – შედეგი მაინც ის იქნებოდა, ჩვენ და მთელ ჩვენს შთამომავლობას რომ გადაგვდებდნენ საკლავად. არა, სულ პანია შელავათი მაინც გაგვიჩიეს: ნოესა და მის მონაგარს მაკე ცხოველების ჭამა აეკრძალათ. ამან, თავისთავად, სრულიად არაჯანმრთელი აქტივობა გამოიწვია. კიდობანში მატება დაიწყო. ყოველივე ამას ფსიქოლოგიური შედეგებიც მოჰყვა – ე. წ. „ისტერიული ორსულობის“ თაობაზე არაფერი გსმენიათ განა?

ახლა კი ქამის ცოლის ერთი ამბავიც გამახსენდა (კი იძახდნენ – ჭორიო, მაგრამ უცეცხლოდ კვამლი გაგიგიათ?): ეს ქალი დიდი მოწონებით არ სარგებლობდა კიდობანზე, თუმცა შესახედად არ დაინუნებოდა – წარღვნის დროისათვის სულ რალაც ასორმოცდაათი წლისა იქნებოდა და მეტს არც მისცემდი არაფრით. ეგაა, რომ ფიცხი ხასიათი ჰქონდა და გვარრიანი უჯიათი ვინმეც გახლდათ. ქამს არასოდეს არაფერი გასდიოდა მასთან. მოკლედ, ახლა მხოლოდ შიშველ ფაქტებს მოგახსენებთ: ამ წყვილს ორი შვილი ყავდათ – ვგულისხმობ, ორი ვაჟი, რადგან გოგონებს სათვალავში ხომ არავინ აგდებდა – და სახელები მათი ქუში და მიცრაიმი; მესამე ვაჟი, ფუტი, უკვე კიდობანში გაჩნდა, ხოლო ქანაანი – ხმელეთზე გადმოსვლის მერე. ნოესა და მის ცოლს მუქი თმა ჰქონდათ და თაფლისფერი თვალები; ასევე გამოიყურებოდნენ ქამი და მისი ცოლი; სემიც, ვარადიც, იაფეტიც... და შესაბამისად, მათი ძმისშვილებიც მათ ჰგავდნენ. აი, მხოლოდ ფუტი გახლდათ უღალთმიანი და მწვანეთვალა. დასკვნების გამოტანა თქვენთვის მომინდვია.

მოკლედ, ახლა უკვე ფაქტების ყურედან გამოვდივართ და ქორების ზღვაში ვინცებთ ცურვას (ეს კაზმულსიტყვაობა ჩემი არ გეგონოთ, ნოე ლაპარაკობდა ხოლმე ასე). ის მუშაკაცი თუ გახსოვთ, სააღალო კიდობანში რომ ჩორკნიდა თავისთვის ფარულ სენაკს? ჰოდა, ასე ამბობდნენ – თუმცა ოფიციალურად, ეს არავის დაუდასტურებია – ქამის მეუღლის სამყოფელშიც იპოვეს ზუსტად ეგეთივე სათავსო. ყოველ შემთხვევაში, თავდაპირველ ნახაზებში არაფერი ეგეთი გათვალისწინებული არ ყოფილაო. საფუძვლიანი დათვალიერების შედეგად კი იქ ფიცრებს შორის ჩარჩენილი უღალი თმის რამდენიმე ღერიც აღმოაჩინესო, ამბობდნენ.

არის მეორე ვარაუდიც და რაკი საქმე მთელ თქვენს სახეობას ეხება, იძულებული ვარ, მასზეც ვთქვა ორიოდ სიტყვა, თუმცა ცხადია, რამის მტკიცებას არც ამ შემთხვევაში მოვყვები: ქამის კიდობანში უღამაზესი წყვილი მაიმუნი სახლობდა, ძალზე განსხვავებული მათივე თანამოძმეთაგან – როგორც ჭკუა-გონებით, ასევე გარეგნობითაც და უკვე მიხვდით ალბათ, უღალთმიანები გახლდნენ და მწვანეთვალეა. გამომეტყველებაც კი ისეთი ჰქონდათ, იფიქრებდი – აი ახლა ამოიღებენ ხმას და აი, ახლაო! არა, ისინი აღარ არსებობენ და ვერც შთამომავლობა ეყოლებოდათ, რადგან მალევე სადღაც გაქრნენ. ზოგი ამბობდა, ანძას რომ წვერი მოტყდა ქარიშხალში, იმან იმსხვერპლაო; არადა, უცნაური კია, მაინცდამაინც ეს ორი, გამორჩეულად სხარტი და მოქნილი ცხოველი ერთდროულად რომ შეინირა ძელის რაღაც ნატეხმა.

აი, საჯარო განცხადება კი, რა გასაკვირია და სულ სხვაგვარი გახლდათ – არც არავითარი საიდუმლო საკნები უნახავთ სადმე; ანძის გადანატეხმა მარტო ეს ორი კი არა, სხვა რამდენიმე წყვილიც შეინირა – მაგალითად, ჯუჯა სირაქლემები, მენამული თახვი და ერთიც – ბრტყელკუდა ქიანჭველაჭამია; ხოლო ფუტის მაშინ ჯერ კიდევ უჩვეულო შეფერილობა ღვთივკურთხეულობის ნიშანი გახლდათ და ადამიანისეულ გააზრებას არ ექვემდებარებოდა. თუმცა, მერე და მერე ამასაც მოუძებნეს ახსნა – ამით მამაზეციერმა გვამცნო, ჩვენი მოგზაურობა რომ შუანელს გადასცდაო.

ასე და ამგვარად, ფუტის განსხვავებულობა მხოლოდ კარგის მაუნ-ყებელი იყო და შფოთვის მიზეზი არ არსებობდა. ნოემ თავად განაცხადა. ამას ისიც დაემატა, რომ თურმე ნუ იტყვი და, სიზმარში გამოცხადებია კიდევ უფალი და უბრძანებია, ბიჭს ხელი არ ახლოთო. მორჩა, ამის მერე ვინლა იქნებოდა ხმის ამომღები. ნოე კი (როგორც თავად არ დავინწყნია კიდევ ერთხელ აღენიშნა) როდის იყო, ღვთის სიტყვას გადადიოდა?!

ოლონდ ისიც სათქმელია, რომ თავად მხეცები ამ საკითხის განსჯისას განსხვავებულ მოსაზრებებზე იდგნენ: მაგალითად, ძუძუმწოვრები უარს ამბობდნენ თუნდაც შესაძლებლად დაეშვათ, თითქოსდა იმ მწვანეთვალეობა და ჟღალთმიან მამრს შეიძლებოდა სექსუალური კავშირი დაემყარებინა ქამის ცოლთან; მართალია, სხვის გულისთქმას რას გაუგებ, მაგრამ თავიანთი დედების ნაწოვ ძუძუს იფიცებოდნენ – ეგეთი რამ იმთავითვე გამორიცხულიაო. ძალიან კარგად ვიცნობდით იმ უბედურს – დიდი პენენიკი ვინმე იყო და ცოტათი – ამპარტავანიცო. ბოლო-ბოლო, რა გაუჭირდებოდა ეგეთი, რალა ქამის ცოლს მიადგებოდა, იქვე არ იყვნენ პანია ყვითელკუდა მაიმუნები, პეშვი მუსკატის გულისთვის, ნებისმიერს რომ გაეგებოდნენ ფიანდაზადო?

მაშ ასე: ჩემი თხრობაც ნელ-ნელა დასასრულს უახლოვდება. უნდა გამიგოთ – მხოლოდ კეთილი სურვილი მამოძრავებდა, და თუკი მაინც მეტისმეტად მიკერძოებულად ჩამთვლით, იმედია არ გენყინებათ თუკი ამას თქვენსავე ურყევ ამოჩემებებს მივანერ: გჩვევიათ ხოლმე, ის ირწმუნოთ, რისი რწმენაც გსურთ, და ერთხელ უკვე შემუშავებული თვალსაზრისის გადახედვისაკენ გული არ მიგინევთ; რას იზამ, ნოეს გენები აქაც იჩენს თავს. მაგასვე უნდა მივანეროთ ის ამბავი, რომ კაცობრიობა, ზოგადად, უცნაურად არაცნობისმოყვარეა – სხვა აბა რითი ავსხნა, რომ თავშიც არავის მოგსვლიათ შეკითხვა – რა დემართა ყორანს?

როცა კიდობანი მთის წვერს მიეხალა (სინამდვილეში ცოტა უფრო რთულად იყო საქმე, მაგრამ მოდი, დეტალებზე ნუ შევყოვნდებით), ნოემ ახადა თავი კიდობანს და ერთი ყორანი და ერთიც

მტრედი გამოუშვა იმის შესატყობად, ხომ არ დაიმცრო წყალიო. მერე ამ ყორანზე სიტყვაც აღარ დაუძრავს არავის – ეტყობა, დაფრინავდა თავისთვის იქით-აქეთ. აი, მტრედის ის სამი გაფრენა კი ლამის გამირობად დასახეთ! გული გვიჩუყდება, როცა ვკითხულობთ, რომ ალაგსა მოსასვენებელსა ვერ ჰპოებდა ფერხთათვისო. მერე კი აღტაცების ჟრუანტელი გვივლის, როცა ნისკარტით ზეთისხილის შტოს მოუტანს ნოეს. სინამდვილეში, საქმე სულ სხვაგვარად იყო: ჯერ ეს ერთი, ყორანი მტრედზე ბევრად უკეთ დაფრინავს და რომ გაიძახოდა – მაგან კი არა, მე ვიპოვე ის ზეთისხილის ხე და ის რტოც მე მოვატეხეო, მჯერა კიდევ – აბა მტრედი რომელი რტოების მომტეხავი იყო?! ნოემ კი გადაწყვიტა, ასე უფრო „სიმბოლური“ იქნებო და თან სწორედ მისი და მისი ღმერთის ხასიათში ჯდება, ახლა ფრთოსნები გადაემტერებინა ერთმანეთისთვის. არაო, გაიძახოდა – თვითმხილველებმა თქვესო (არა, მაინც ვინ – საინტერესოა ვიცოდეთ? არცერთი ფრინველი ასე არ დაეცემოდა ზნეობრივად, ამგვარი ხმები დაეყარა ვინმესთვის!), რომ ყორანმა თავისი პირდაპირი მოვალეობა მიივიწყა და ლემის ქამით გაერთოო. სხვათა შორის, ამბობენ, რომ ყორნის ხმაში ახლაც მოისმის განაწყენების მიმანიშნებელი ერთგვარი ხრინწი. ამის სანინალმდევოდ, ხმელეთზე გადმოსვლის მერე მტრედი ისე აღულუნდა, თითქოს უკვე ხედავდა საკუთარ გამოსახულებას საფოსტო მარკებზე.

არც ის დამავინყდება, ვიდრე კიდობანი დაიცვლებოდა, „ადმირალმა“ სიტყვით რომ მოგვმართა ყველას – მადლობა მინდა გითხრათ ყველას თანამშრომლობისათვის და ბოდიში, თუკი რაღაც პატარ-პატარა უსიამოვნებებს ჰქონდა ადგილიო; ახლა ყველაფერი უკან მოგვრჩა და ახალი ცხოვრების შენებას უნდა შევეუდგეთო. ოღონდ ამის გამგონე ცხოველებსა და ფრთოსნებს ფხუკუნის აუტყდათ – ყველას კარგად ახსოვდა, როგორ მოეპყრნენ ვირს, ნაჯვარ არსებებს, რქაცხენას... მოკლედ, ცხადზე-ცხადი გახლდათ: ნოეს მშვენივრად მოეხსენებოდა, რას მოიმოქმედებდა ნებისმიერი ჩვენგანი, როგორც კი მიწას დაადგამდა თათსა თუ ჩლიქს – წამსვე ტყე-ღრეში დაიფანტებოდა ყველა და მერე არ გინდოდა მათი

ძებნა? რას აღარ გვპირდებოდა მოშინაურების სანაცვლოდ – სუფთა წყალი და ზამთარში უფასო საკვები არ მოგაკლდებათო (იმას კი აღარ ამბობდა, ნარჩევ ხორცს დაჩვეულს, ახლა ისევ თხილსა და ტყის ნობათის დიეტაზე რომ მოუწევდა დაჯდომა!); გაგიკვირდებათ და, მაინც აღმოჩნდნენ ისეთები, ყურიც რომ დაუგდეს და დაიჯერეს კიდევ მისი ნალაქლაქევი. დიახაცო – ამბობდნენ ზოგიერთნი (უნდა ითქვას, არცთუ მთლად ყველაზე გონიერნი) – ბრძნულად და დარბაისლურად ლაპარაკობს, აბა ყველას ერთად ხომ ვერ შეგვჭამს, ალბათ უფრო ბებრებსა და დაავადებულებს გადაარჩევსო... ასე რომ, ღორები, ზოგიერთი ჯიშის თხები, ძროხები, ქათმები და სხვ. და სხვ. მრავალნი დაიყოლია კიდევ. ვაფრთხილებდით, მაგრამ რად გინდა. საქმეც ისაა, რომ წლობით ბაგებში გამოკეტვამ დაჩაჩანაკა ერთ დროს თავისუფლებისმოყვარე ეს სახეობები და ახლაც, რომ შეხედოთ, მათი წარლენამდელი წინაპრების აჩრდილებიღა არიან მხოლოდ.

და რა მოიგო ნოემ ღმერთთან დადებული იმ თავისი აღთქმის წყალობით? მეტს აღარ იზამსო – გაიძახოდა – და არც აღარავის გაუჟუჟავსო, ხოლო ნიშნად ამისა, ცისარტყელას გაგვიკეთებსო! გესმით თქვენ?! ან, როცა კი წვიმა გადაიღებს, ცაში ეს ჭყეტელა რალაცა გამოჩნდება და დაგვამშვიდებს – ნუ შიშობთ, წარლენა აღარ გემუქრებათო... საინტერესოა, ამ ყველაფრის იურიდიული სტატუსი როგორია? თუკი სიტყვას გატეხს – მერე ცისარტყელას უჩივლებ სადმე თუ როგორ იქნება?!

მაგრამ აღმოჩნდნენ ისეთებიც, ვინც დროზე იაზრა – ნოე ისევ გვაბოლებსო და ველურ ბუნებას დაუბრუნდა. მათ შორის პირველი კი ქორბუდა ირემი გახლდათ. და იცით რას გეტყვით? სულაც არაა შემთხვევითი, თავად თქვენ რომ მათ „კეთილშობილებს“ უწოდებთ: აბა მითხარით ერთი, ვის მოუვა თავში, ღორს „კეთილშობილი ცხოველი“ დაუძახოს? ან თუნდაც ცხვარს? ან – ქათამს? ეჰ, აბა ერთი რქაცხენასთვისაც შეგვევლოთ თუნდაც ცალი თვალი... სამაგიეროდ კი – გასაოცარი ცისარტყელა საჩუქრად! ვინ გიჟი გაცვლიდა ცოცხალ რქაცხენას რალაც ცისარტყელაში?! და საერ-

თოდ, თუკი საოცრებებზე მიდგა საქმე, სწორედ ამ კეთილშობილი ცხოველის მკვდრეთით აღდგენა არ იქნებოდა მართლა ღვთიური საოცრება?

მგონი გითხარით უკვე, რომ ბევრისათვის კიდობნიდან გამოსვლა იქ მოხვედრაზე ადვილი სულაც არ აღმოჩნდა-მეთქი. საქმე იქამდე მივიდა, მდებარე ცხოველებსა და ძუ მხეცებს სემი სარცხვინელსაც კი უსინჯავდა. ისე, ბევრი არც აღმოჩნდა უნებართვო მგზავრი – რამდენიმე ხოჭო, ერთი-ორი ზედმეტად გასისინებული ვირთხა, რამდენიმე სახეობის გველი... ახლა რალა დასამალია და, ჩვენი ოჯახი ერკემალის ფუტურო რქაში ჩაიმალა და ასე გამოვიდა გარეთ. ამ მართლაც შთამბეჭდავი გამომეტყველების ცხოველთან დაამხანაგება ჩვენი მოგზაურობის ბოლო სამი წლის განმავლობაში ნაბიჯ-ნაბიჯ ხდებოდა, სწორედ ამ მიზნით. ის კიდე ნოეს დასანახად ვერ იტანდა და მოხარულიც კი იყო, ასე რომ გააცუცურაკა.

საბოლოოდ, ყველაფერი კეთილად დამთავრდა და უნდა ითქვას, ამ მოგზაურობამ ბევრი რამ გვასწავლა – უპირველესად კი ის, რომ ადამიანი, ზოგადად, ბევრად ჩამორჩება ცხოველს, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც. ჩვენ ხომ მარად იგივენი ვართ – აი რას ნიშნავს იყო განვითარებული. ჩვენ ისეთები ვართ, როგორებიც ვართ და ვიცით, როგორ უნდა ვიქცეოდეთ. განა კატა დაიწყებს ყეფას, ან ძალღი – კნავილს? თქვენგან კი სწორედ ასეთ ქცევას მოველით ხოლმე! ხან ველურები გინდათ იყოთ და ხანაც – ცივილიზებულები. სწორედ ასე იყო ნოეს ამბავი – ვერასოდეს მიხვდებოდი, რას მოიმოქმედებდა მეორე დღეს. თანაც არ დაგავიწყდეთ – თქვენს სახეობას სიმართლე თვალებს სტკენს და თან, ძალიანაც: ან სულ იოლად ივიწყებთ ხოლმე რალაც-რალაცებს, ან თავს იკატუნებთ, ვითომდა აღარ გახსოვთ; ჯერ მარტო ვარადისა და მისი კიდობნის გაქრობის ამბავი რად ღირს! ძრავს ვინმე ამაზე სიტყვას?!

მეორე მხრივ, არის ამგვარ სირაქლემისებურ ქცევაში რალაც დადებითიც: როცა ცუდს ვერ ამჩნევ, ცხოვრებაც გიიოლდება. ოღონდ ცუდს როცა არ იმჩნევ, ნელ-ნელა იმასაც ირწმუნებ, ეგე-



თი რამ საერთოდ არც არსებობსო. მერე კი გიკვირთ, თოფი რატომ კლავს, ბევრი ფული რატომ რყვინის, ზამთარში თოვლს რატომ დებს... ეგეთი გულუბრყვილობა საამოა, მაგრამ თან – სახიფათოც.

თქვენ არც არასოდეს ისურვებდით ნოეს ნამდვილი სახის დანახვას – როგორ გეკადრებათ, ის ხომ უხუცესია, ღვთისმომიში და ბუნების დამცველი. რომელიღაც ძველებრავულ წიგნში ისიც კი გინერიათ – პატრიარქმა ნოემ ღვინო მაშინ აღმოაჩინა, თუხთუხა ყურძენნაჭამი ვაცი რომ იხილაო. აბა კი, როგორ არა – ეგეც ცხოველებს გინდათ გადააბრალოთ?! თქვენ რომ გკითხოთ, პირველცოდვა გველის ბრალია, პატიოსანი ყორანი უსაქმური და ლეშის მოყვარულია, ვაცმა კი ნოე გაალოთა. მერწმუნეთ, ღვინის თვისების აღმოსაჩენად ნოეს რომელიმე ჩლიქოსნის დახმარება არაფერში სჭირდებოდა.

მაგრამ ასეა: თქვენ მუდამ სხვას გინდათ ყველაფერი გადააბრალოთ, ხოლო თუ ვერც ვერავის აბრალებთ – მაშინ უკვე იმის მტკიცებას იწყებთ, ეგ პრობლემა არც არასოდეს არსებულა, სულ თითიდან გამოწოვილი ამბავიაო. თამაშის წესებსაც ხომ მუდამ თქვენს ჭკუაზე ცვლით, და ისეთ რამეებსაც იგონებთ, დაბნეულობისაგან პასუხსაც ვერავინ გაგცემთ: აი მაგალითად, მავანი იმასაც კი ამტკიცებდა, კიდობნის ნოე და ლოთი ნოე სულ სხვადასხვა პიროვნებააო! აბა, ლოთი-შფოთს ხომ არ გამოარჩევდა ღმერთიო? მოკლედ, იყო და არა იყო რა – იყო ნოე მაგრამ... ის არ იყო. შეგვეშალაო, ვის არ მოსვლიაო. საკითხი ამონურულია.

როგორ შეიძლებაოდა ამისთანა ვინმე გამოეჩინა მამაზეციერს? აკი აგინხენით უკვე: სხვები უარესები იყვნენ. და საერთოდ, უნდა გითხრათ, რომ თითო-ოროლა ყანწის დამგემოვნებელი ნოე ყოველთვის იყო, მაგრამ ლოთად სწორედაც რომ ამ მოგზაურობამ აქცია. უბრალოდ, ეს მძიმე ტვირთი ვერ ზიდა. რვიდან ოთხი კიდობანი დაკარგა და მასზე გაპიროვნებულ ცხოველ-ფრინველთა სახეობების ერთი მესამედიც ზედ მიაყოლა. ნამუსიანი მსაჯობა რომ ყოფილიყო, ნაღდად დისკვალიფიკაციას მისცემდნენ. მაგრამ მთელი მისი ბაქი-ბუქის მიუხედავად, ესმოდა კიდევ, რა მძიმე ტვირთს

ეზიდებოდა. ბრალეულობის განცდა, უმნიფარობა და მუდმივი ბრძოლა მაღალი კვარცხლბეკის შესანარჩუნებლად – ყველაფერი ეს, როგორც წესი, მეტად მძიმე დაღს ასვამს ხოლმე თქვენი სახეობის წარმომადგენლებს. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ სინამდვილეში, ნოე სწორედაც მისმა ღმერთმა გაალოთა და ამიტომაცაა, ეს თქვენი სწავლული ნემსის ყუნწში ძვრებიან, ოღონდ კი როგორმე ეს ნოე იმ მეორისაგან გამოაცალკევონ: წინააღმდეგ შემთხვევაში, რაღაცა მძიმე დასკვნები მოგივა თავში. ოღონდ ამ „მეორე“ ნოეს ამბავი – ზემოხსენებული ლოთობა, უგვანი ქცევა, ყოვლად ბრიყვული და თან უსამართლო სასჯელი, საკუთარ შვილს რომ დაატეხა თავს – ეს ყველაფერი ოდნავადაც არ გვაკვირვებს მათ, ვინც იმ „პირველს“ ზედმიწევნით კარგად ვიცნობდით. ვწუხვარ, მაგრამ აქ ეტყობა, პროგრესირებადი ალკოჰოლიზმის სავალალო, თუმცა-ღა სავსებით მოსალოდნელ შემთხვევასთან უნდა გვექონდეს საქმე.

როგორც ადრევე მოგახსენეთ, დიდად გავიხარეთ, კიდობანს რომ დავაღწიეთ თავი. ბოლოს და ბოლოს, ამ ერთადერთი ჯიშის ხის წლობით ლეჭვამაც ძმარვა დაგვანყებინა. მაგრამ, ნოეს სულ ეკიდა ჩვენი კვების რაციონი (ხომ საერთოდ არც აპირებდა ჩვენს გადარჩენას). კიდობანში ლეგალურად მოხვედრის ღირსადაც რომ ვეცნეთ, ხომალდზე მხოლოდ ორ ჩვენგანს აუშვებდნენ; ახლა კი, ეგე – შვიდნი ვართ! მართალია, ნოე აზრზე არ იყო, რამდენ ხანს გასტანდა მოგზაურობა, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რა მცირედით ვკმაყოფილდებოდით იმ ხუთნახევარი წლის განმავლობაში, კიდობანში კი უნდა შევეშვი. ბოლო-ბოლო, ხის ქიად ყოფნის ხვედრიც ხომ ხვედრია.